აგიტ მირზოევი

ნინო ერემაშვილი

სიტყვის ძალა

სახელმძღვანელო პრინციპები ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის

თბილისი
2013

პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ოფიციალურ პოზიციად.

აგიტ მირზოევი ნინო ერემაშვილი

სიტყვის ძალა

სახელმძღვანელო პრინციპები ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის

პუბლიკაცია მომზადებულია
პროექტის

„ეთნიკური უმცირესობათა თემები და ქართული მედია: ერთად ტოლერანტობისკენ“ მიერ

საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს” „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის მცირე გრანტების მექანიზმის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

თბილისი
2013

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

კანონმდებლობა 5

ჟურნალისტური ეთიკა 20

რჩევები ჟურნალისტებს 23

სიძულვილის ენის გამოყენება ეთნიკური უმცირესობების მიმართ (პრაქტიკული მაგალითები) 28

ლექსიკონი 34

კონტაქტები 45

წინასიტყვაობა

ქართველ ჟურნალისტებს ხშირად საყვედურობენ, რომ ისინი ზედმეტად არიან სენსაციას გამოდევნებული, რომ ქართულ პრესაში ძნელია ჭორისა და მართლის ერთმანეთისგან გარჩევა.

ეს საყვედურები არ არის სიმართლეს მოკლებული, თუმცა, თავის მხრივ, თავდასაცავი არგუმენტები ჟურნალისტებსაც საკმაოდ აქვთ:

საზოგადოებას სწორედ სენსაცია აინტერესებს, ჟურნალისტი კი საბაზრო ეკონომიკის კანონით მოქმედებს - მომხმარებელს იმ საქონელს აწვდის, რაზეც არსებობს მოთხოვნილება; საზოგადოებას ჭორიც აინტერესებს, თანაც, მოვლენის ოპერატიულად გაშუქების სურვილი ხშირად აძნელებს ფაქტების გადამოწმებასა და ჭორისა და მართლის ერთმანეთისგან გამიჯვნას;

სიტყვის თავისუფლება გულისხმობს, რომ ჟურნალისტი ხან სენსაციას გამოეკიდება, ხან ჭორსა თუ გადაუმოწმებელ ინფორმაციას გაავრცელებს და ხან ვიღაცა დარჩება ნაწყენი. შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული და გამონაკლისს, ცხადია, არც ჟურნალისტი წარმოადგენს. მაგრამ საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს სანდო, მრავალმხრივი და გადამოწმებული ინფორმაცია და ეს მისია ჟურნალისტმა უნდა შეასრულოს. მრავალი ქვეყნის ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი სწორედ მოქალაქეთა ამ უფლების აღიარებით იწყება.

იმისათვის, რომ ჟურნალისტმა შეძლოს ამ მისიის შესრულება, მხოლოდ პრესის

თავისუფლება არ არის საკმარისი, საჭიროა, მას ჟურნალისტური პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერებაც დაემატოს.

ეთიკური ჟურნალისტიკა - საზოგადოების ნდობის გარანტია.

ჟურნალისტიკაში უამრავი სტანდარტიც არსებობს, თუმცა, გარდა პროფესიული სტანდარტებისა, არის ეთიკური პრინციპები, რომელთა დაცვა არანაკლებ საჭიროა სანდო დაკეთილსინდისიერიჟურნალისტიკისთვის.

ჩვენი მიზანია, მედიასთან ერთად დავამსხვრიოთ ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული სტერეოტიპები, შეიქმნას უფრო მეტი სტატია და რეპორტაჟი მათი უფლებების, პრობლემების, კულტურისა და თვითმყოფადობის შესახებ; პარტნიორული ურთიერთობებისა და სამუშაო კონტაქტების ხელშეწყობა მასმედიის წარმომადგენლებსა და ეთნიკური უმცირესობების თემების აქტივისტებს შორის; სოციალური პასუხის-მგებლობის მქონე ჟურნალისტიკის განვი-თარება.

» საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს მრავალფეროვნების ხელშეწყობისა და უმცირესობათა დაცვის ძირითად საფუძვლებს. კონსტიტუციის მეორე თავი, რომელიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ძირითად საერთაშორისო აქტებთან და პირდაპირ მიუთითებს თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე (მუხლი 14).

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას და უზრუნველყოს თანასწორობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. (მუხლი 34; მუხლი 38)

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანისფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლი-

ნებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

» საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

კანონის მაუწყებლობის შესახებ განსაზღვრავს მაუწყებლობის წესს და ქმნის საფუძველს

იმ საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებისათვის, რომლებიც იკისრა საქართველომ.

კანონის მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება; მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, მაუწყებელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

კანონი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარ პროგრამებში გაითვალისწინოს პლურალიზმის ელემენტები.

მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;

კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები;

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

» საერთაშორისო კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციისა და სხვა კონვენციების ცალკეული მუხლები შეეხება მრავალფეროვნებისა და მედიის პლურალიზმის საკითხებს.

» ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება

და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

» ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია

მუხლი 9

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა;

ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და

აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებირივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში

ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვეციის ოქმი #12

მუხლი 1 - დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

1. კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების გამოყენება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის,

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა სტატუსის საფუძველზე.

2. არავინ არ შეიძლება იქნას დისკრიმინირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლით.

რეკომენდაცია N R (97) 20 სიძულვილის გამოხატვის შესახებ

(მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 30 ოქტომბერს, მინისტრთა მოადგილეების 607-ე სხდომაზე)

რეკომენდაციებს აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, რათა:

1. გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა წინამდებარე რეკომენდაციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე ბრძოლა გამოუცხადონ სიძულვილის გამოხატვას;

2. უზრუნველყონ, რომ აღნიშნულმა ნაბიჯებმა შექმნან ყოვლისმომცველი მიდგომა ამ მოვლენასთან მიმართებაში, რომელიც აგრეთვე საფრთხეს უქმნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა საფუძვლების;

3. ხელი მოაწერონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ და მოახდინონ რატიფიცირება და მისი ეფექტური განხორციელება ეროვნულ კანონმდებლობაში, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლისაკენ მოწოდების

წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ მინისტრთა კომიტეტის (68) 30 რეზოლუციის შესაბამისად;

4. გადახედონ შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკას წინამდებარე რეკომენდაციის დანართში მოყვანილ პრინციპებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდაცია N R (97) 21 მედიისა და შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების შესახებ

(მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 30 ოქტომბერს, მინისტრთა მოადგილეების 607-ე სხდომაზე)

რეკომენდაციებს აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, რათა:

1. აცნობონ შემდეგ შესაბამის ჯგუფებს მოქმედებათა იმ საშუალებების შესახებ, რომლებიც მოცემულია წინამდებარე რეკომენდაციის დანართში:

- პრესას, რადიოდა სატელევიზიოსაწარმოებს ისევე, როგორც ახალ საკომუნიკაციო და სარეკლამო სექტორებს;

- მედიის პროფესიონალთა წარმომადგენლობით ორგანოებს ამ სექტორებში;

- მარეგულირებელ და თვითმარეგულირებელ ორგანოებს ამ სექტორებში;

- ჟურნალისტიკის სკოლებსა და მედიის სასწავლო ინსტიტუტებს.

2. პოზიტიური განწყობით განიხილოს ნებისმიერი თხოვნა, რომელიც ეხება წინამდებარე რეკომენდაციის მიზნის მისაღწევად ინიციატივების ხელშეწყობას.

R(97) 21 რეკომენდაციის დანართი

» გამოყენების სფერო

ქვემოთ განხილულ მოქმედებათა საშუალებები მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს პროფესიული პრაქტიკის არასრული მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებას და რომლებიც წარმოადგენს უფრო ზოგადი დანიშნულების დებულებას მედიის სხვადასხვა სექტორში.

პროფესიული პრაქტიკის სახეები, რომლებიც ხელს უწყობს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებას.

1. ტრენინგი

პირველადი ტრენინგი

ჟურნალისტიკის სკოლებსა და მედიის სასწავლო ინსტიტუტებს, თუ მათ ეს ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ, შეუძლიათ სასწავლო პროგრამაში წარმატებით შეიტანონ სპეციალური კურსები მათი პროფესიონალიზმის არსის განვითარების მიზნით, რომლებიც ითვალისწინებს:

- მედიის ჩაბმას მრავალეთნიკურ და მრავალ-კულტურულ საზოგადოებებში;

- წვლილს, რომელიც შეუძლია მედიას შეიტანოს სხვადასხვა ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის უკეთესი ურთიერთგაგების მისაღწევად.

შემგომი ტრენინგი მედიის საწარმოებს შეუძლიათ წარმატებით უზრუნველყონ შიდა ტრენინგი ან მონაწილეობა მიიღონ სასწავლო სემინარებში, რომ-ლებიც ორგანიზებულია საწარმოს ფარგლებს გარეთ, შემწყნარებლობასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით პროფესიული ნორმების შესახებ.

2. მედიის საწარმოები

შეუწყნარებლობის პრობლემა მოითხოვს მსჯელობას როგორც საზოგადოებაში, ასევე მედიის საწარმოების შიგნით. პროფესიული მედიის წრეების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მედიის საწარმოებს შეუძლიათ სასარგებლო ზეგავლენა შემდეგზე:

- რასიზმსა და შეუწყნარებლობის ქმედებებზე ფაქტობრივი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება;

- საზოგადოების ჯგუფებს შორის არსებულ დაძაბულობაზე ინფორმაციის მოწოდება მგრძნობიარე ფორმებით;

- თავიდან იქნეს აცილებული კულტურული, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების წევრების დამამცირებელი სტერეოტიპული აღწერა, პუბლიკაციებსა და საპროგრამო მაუწყებლობებში;

- პირის ქმედების განხილვა მისი გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილებისაგან განცალკე-ვებით, როდესაც ეს შეუსაბამოა;

- საზოგადოების კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფთა აღწერა დაბა-ლანსებული და ობიექტური სახით და იმ გზით, რომელიც ასევე ასახავს საზოგადოების ხსენებული ჯგუფების

პერსპექტივებსა და შეხედულებებს;

- გაამახვილოს საზოგადოებრივი აზრი შეუწყნარებლობით გამოწვეულ ბოროტებაზე;

- გააღრმავოს საზოგადოების მიერ განსხვავების გაგება და შეფასება;

- დაგმოს მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს რესპოდენტების მიერ ინტერვიუების, მოხსენებების, სადისკუსიო პროგრამებისა და სხვა დროს გაკეთებულ შეუწყნარებელ განცხადებებს;

- გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს ზეგავლენა გადმოცემაზე;

- მედიის საწარმოებში მომსახურე პერსონალის მრავალფეროვნება და დონე, რაც შეესაბამება მკითხველის, მსმენელისა თუ მაყურებლის მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ ხასიათს.

3. მედიის პროფესიონალთა წარმომადგენლობითი ორგანოები

მედიის პროფესიონალთა სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენელობით ორგანოებს შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ სამოქმედო პროგრამები თუ პრაქტიკული ხასიათის ინიციატივები შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების მიზნით.

4. ქცევის კოდექსები

ასეთი ინიციატივები და მოქმედებები შესაძლოა სრულებით შეესაბამებოდეს მედიის სხვადასხვა სექტორში შექმნილ პროფესიული ქცევის კოდექსებს, რომლებიც დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის

პრობლემებს უპირისპირდება, მოუწოდებს რა მედიის პროფესიონალებს, დადებითი წვლილი შეიტანონ საზოგადოების სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთგაგების განვითარებაში.

5. მაუწყებლობა

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ სამაუწყებლო კომპანიებს ეკისრებათ განსაკუთრებული ვალდებულება, განამტკიცონ შემწყნარებლობის კულტურა და ურთიერთგაგება, სამაუწყებლო მედია, როგორც ერთი მთლიანი, წარმოადგენს ეფექტურ ძალას იმ ატმოსფეროს შესაქმნელად, რომელშიც უნდა დაიგმოს შეუწყნარებლობა.

სამაუწყებლო მედიაზე შესაძლოა, ზეგავლენა იქონიონ სამაუწყებლო კომპანიებმა, რომლებიც, მაგალითად:

- ქმნიან ადეკვატურ დებულებებს საპროგრამო მაუწყებლობა, ასევე ხელსაყრელ საყურებელ დროს, რომელიც ხელს უწყობს ყველა პირთა, ჯგუფთა და საზოგადოებათა ინტეგრაციას, ისევე როგორც სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და სხვა საზოგადოებებისადმი საეთერო დროის პროპორციულად გადანაწილება;

- განავითარონ მრავალკულტურული მიდგომა პროგრამის არსთან მიმართებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამები, რომლებიც საზოგადოებას წარმოადგენს მონოკულტურული და მონოლინგვისტური სახით;

- განამტკიცებენ მრვალკულტურულ მიდგომას პროგრამებში, რომლებიც

სპეციალურად განკუთვნილია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს აღიზარდნონ იმ შთაგონებით, რომ კულტურული, რელიგიური და ეთნიკური განსხვავება არის საზოგადოების ბუნებრივი და დადებითი ელემენტი;

- განავითარონ ღონისძიებები, რათა მოხდეს რეგიონალურ, ეროვნულ თუ ევროპულ დონეზე იმ პროგრამების განაწილება, რომელთა ღირებულება დამტკიცებულია შეუწყნარებლობის ბოროტების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებასა თუ მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ საზოგადოებებში საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელშეწყობაში.

6. რეკლამირება

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი საზოგადოების მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ხასიათი უკვე ასახულია ცალკეულ კომერციულ რეკლამებში და რომ რიგი რეკლამის განმთავსებლებისა დგამენ ნაბიჯებს, რათა რეკლამა მოამზადონ იმ სახით, რომელიც ასახავს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური განსხვავების დადებით მხარეს, შესაბამის პროფესიონალთა წრეების მიერ შესაძლებელია განვითარდეს ისეთი პრაქტიკა, როგორიც ქვემოთ არის წარმოდგენილი. ცალკეულ ქვეყნებში ქცევის კოდექსები შეიქმნა სარეკლამო სექტორში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ისეთ საფუძველზე, როგორიცაა რასა, კანის ფერი, ეროვნული წარმომავლობა და სხვა.

არსებობს მედიის საწარმოები, რომლებიც უარს ამბობს სარეკლამო შეტყობინებების გადაცემაზე, რომლებიც ასახავს კულტუ-

რულ, რელიგიურ თუ ეთნიკურ განსხვავებას ნეგატიური გზით, მაგალითად, სტერეოტიპების გამყარებით. ცალკეული საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები ავითარებენ სარეკლამო კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს შემწყნარებლობის განმტკიცებას. მედია მოწვეულ უნდა იქნეს, რათა აქტიურად ითანამშრომლოს ამ სახის რეკლამების გავრცელებაში.

„ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი“

ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი არის შიდა სარეგულაციო მექანიზმი, ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელიც ემყარება მორალურ პრინციპებს და საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. ეთიკის კოდექს არ აქვს იურიდიული ძალა.

წარმოდგენილი კოდექსი შემუშავებულია «საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის» მიერ 2000 წელს (მიღებულია 2001 წელს).

წესები, რომლებიც ჟურნალისტური საქმიანობის ნორმებს აღწერენ, მთლიანად შეესაბამება ევროსაბჭოს რეკომენდაციებს სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტური მოღვაწეობის ნორმების შესახებ, აგრეთვე, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაციას ჟურნალისტური მოღვაწეობის თაობაზე.

«ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი» ქართულ მედიაში საერთაშორისო ნორმების დამკვიდრებისკენ არის მიმართული, რაც საბოლოოდ ადამიანთა უფლების დაცვას ისახავს მიზნად. კოდექსის პრეამბულის თანახმად, საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, ჟურნალისტი მოვალეა,დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები.

ეთიკის კოდექსის ცალკეული დებულებები დაკავშირებულია მედიის მოვალეობასთან გააშუქოს მრავალფეროვანი ინფორმაცია და პატივი სცეს ადამიანის უფლებებს. კერძოდ:

6. ადამიანის უფლებების პატივისცემა

ჟურნალისტი პატივს უნდა სცემდეს ადამიანის პირად ცხოვრებას და სოციალურ გარემოს, რომელშიც ის ცხოვრობს. თუმცა, თუ ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილი ქმედება უკავშირდება საზოგადოებას, ეს საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნას ჟურნალისტთა მიერ. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, რათა არ ხელყონ სხვა გარეშე პირთა პირადი უფლებები.

6.5 დაუშვებელია პიროვნების დისკრიმინაცია რასის, სქესის, ეროვნების, რელიგიის, ფიზიკური მდგომარეობის, სექსუალური , პოლიტიკური ორიენტაციისა და სოციალური ნიშნით. ჟურნალისტი უნდა მოერიდოს ადამიანის რომელიმე ამ ნიშნისადმი კუთვნილების დასახელებას, თუ ეს აუცილებელი არ არის მომხდარ ფაქტში თუ მოვლენაში საზოგადოების გასარკვევად. ჟურნალისტმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ ხელყოს ინდივიდის პატივი და ღირსება.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

2009 წლის 4 დეკემბერს 139-მა ჟურნალისტმა ხელმოწერით დაადასტურა, რომ დაიცავს პროფესიული ქცევის საერთო სტანდარტებს და ამავე ხელმოწერით ყველა მათგანი გახდა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრი და დამფუძნებელი. ქარტიის, როგორც ორგანიზაციის მუშაობას განსაზღვრავს მისი წესდება, ქარტიის 11 დებულება კი, რომელიც შექმნილია საერთაშორისო ჟურნალისტური სტანდარ-

ტების მიხედვით, განსაზღვრავს ქარტიის ყველა წევრის მთავარ პროფესიულ პრინციპებს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრეამ-ბულაში აღნიშნულია, რომ „ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება– მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.“

საქართველოს მედიის წარმომადგენლები ცნობენ და აღიარებენ ქარტიის პრინციპებს. მრავალფეროვნების გაშუქებისას ჟურნალის-ტმა განსაკუთრებულად უნდა დაიცვას ქარტიის მე-7 და მე-10 პრინციპები .

7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტე-რესი.

რჩევები ჟურნალისტებს

მედიაში უმცირესობათა ჯგუფებზე საუბარს გააჩნია, როგორც სამართლებრივი, ასევე მორალური ასპექტი. ჟურნალისტებს ყოველდღიურად უწევთ არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღება. მაგალითად როდის არის მართებული დამნაშავის ეთნიკურ წარმომავლობაზე, ან რესპოდენტის ეროვნულობასა და რწმენაზე მითითება.

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხები მედიაში იშვიათად შუქდება. ძირითადად ყურადღების არეში ხვდება მხოლოდ საეკლესიო-ეროვნული დღესასწაულები, ხოლო პრობლემური საკითხები კი ნაკლებად შუქდება.

ეთნიკური უმცირესობების შესახებ მასალის მომზადებისას კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე რჩევას:

- ყურადღება გაამახვილეთ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, მათ ადაპტირებულობაზე ადგილობრივ გარემოსთან და არა კონფლიქტზე;

- პატივი ეცით მათ უფლებებს, გაუფრთხილდით მათ ღირსებას და პატივისცემით მოეპყარით;

- დაიცავით სიზუსტე, გადაამოწმეთ აკრეფილი ინფორმაცია, განსაკუთრებით კარგად გადაამოწმეთ სახელების, დღესასწაულების დასახელებები, ფაქტების და ციტატების სისწორე;

- თავი აარიდეთ კლიშეებს, ზედმიწევნით აწონეთ თითოეული ფრაზა, მასალა უნდა იყოს სიღრმისეული და დასაბუთებული; ნუ შეუწყობთ ხელს არსებული სტერეოტიპების გამყარებას;

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ სტატიამ ან რეპორტაჟმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მკითხველზე, მსმენელზე ან მაყურებელზე, საზოგადოების მიერ მოვლენის აღქმაზე. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს, წინასწარ უნდა გაანალიზოთ ამა თუ იმ ფაქტის უტყუარობა, გამომზეურების აუცილებლობა და საზოგადოებრივი სიკეთე და განსაზღვროთ თუ რა შედეგს გამოიღებს ეს ე. წ. „რთულ რეგიონებში“; არ უნდა შეასრულოთ «წამქეზებლის როლი» იმ შემთხვევებშიც, როდესაც საქმე არა თქვენს მიერ, არამედ რესპოდენტების გამონათქვამების ტირაჟირებას ეხება;

- უარი თქვით ისეთი მასალის გამოქ-ვეყნებაზე, რომელიც შესაძლოა შეუ-რაცხმყოფელი იყოს რომელიმე ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობისთვის, აღვივებდეს შეუწყნარებლობასა და სიძულვილს მათ მიმართ, თესავდეს შუღლს.

- თავი შეიკავეთ ისეთი გამონათქვამების ტირაჟირებისგან, რომლებიც აღვივებენ შუღლს, სიძულვილს, დამცინავად მოიხსენიებენ ნებისმიერი ადამიანის წარმომავლობას ან რწმენას.

- არ გამოიყენოთ დისკრიმინაციული ლექსიკა, მათი წარმომავლობა და რელიგიური კუთვნილება არ აღნიშნოთ

ისეთი სიტყვებით, რომელთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს. (მაგალითად აჭარელ მუსლიმს და აზერბაიჯანელს არ უნდა უწოდოთ „თათარი“)

- მუდმივად დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა - რა უნდა იცოდეს ხალხმა აუცილებლად, და რა არის ზედმეტი მოვლენის გაშუქებისას.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები

მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი

ეროვნული უმცირესობების ენებზე მომზადებული საინფორმაციო პროგრამების გაუმჯობესება, მათი შინაარსის, ფორმატისა და ქრონომეტრაჟის თვალსაზრისით; ტრენინგი „ნაციონალური მოამბის“ რედაქციების თანამშრომელთათვის და პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების ჟურნალისტებისთვის;

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტების და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების სტაჟირება როგორც „ნაციონალური მოამბის“, ასევე ქართული „მოამბის“ რედაქციაში;

ეროვნული უმცირესობების ენებზე საინფორმაციო პროგრამების დაფარვის არეალის გაფართოება პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების რაოდენობის გაზრდის გზით;

ეროვნული უმცირესობათა ენებზე სატელე-

ვიზიო პროდუქტების თარგმნა- გახმოვანება და პარტნიორი რეგიონული ტელევიზიებით ტრანსლირება;

ეროვნული უმცირესობების ჩართულობის, მათ წინაშე არსებული პრობლემების, ყოფის, კულტურული თუ რელიგიური საკითხების გაშუქების გაზრდა სატელევიზიო პროგრამებში, მათ შორის, საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში;

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, იქ არსებული პრობლემების გაშუქების გაზრდა.

კომერციული მასმედია

ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის, მათ წინაშე არსებული პრობლემების, ყოფის, კულტურული თუ რელიგიური საკითხების გაშუქების გაზრდა სატელევიზიო პროგრამებში, მათ შორის, საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში;

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, იქ არსებული პრობლემების გაშუქება;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობების თემატიკის გაშუქებისას დაიცვას პროფე-სიული სტანდარტები.

რეგიონული მედია

რეგიონის ადგილობრივმა ტელევიზიებმა შეიმუშაონ თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს მედია პრო-დუქტების თანაწარმოებისა და გაცვლის შესაძლებლობებს;

უზრუნველყოს ინტერნეტ-მედიის გამოყენება და განვითარება;

უზრუნველყოს დაფარვის არეალის გაფართოება;

უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე საკუთარი მედიაპროდუქტების შექმნა, გაზრდა და გაუმჯობესება.

სიძულვილის ენის გამოყენება ეთნიკური უმცირესობების მიმართ

პრაქტიკული მაგალითები

მედია არ უნდა იქცეს სიძულვილის ენის გამტარად, რადგან მას (განსაკუთრებით აუდიო-ვიზუალურ მედიას) დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე. აქედან გამომდინარე, მედიას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მედიას აქვს უფლება, დაუთმოს ეთერი ქსენოფობიური ხასიათის გამონათქვამებს, მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ის საზოგადოებაში არსებულ სიძულვილს როგორც პრობლემას ისე ასახავს.

სამწუხაროდ, გარკვეული მედიასაშუალებები თავად არიან ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის წყარო. ხშირია შემთხვევები, როდესაც ცალკეული ჟურნალისტები იზიარებენ საკუთარი რესპოდენტების დისკრიმინაციულ და სიძულვილის ენის შემცველ გამონათქვამებს.

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია უმეტესწილად პოლიტიკურ კონტექსტში გვხვდება და ძირითადად რაიმე პოლიტიკურ აქტივობასთან არის დაკავშირებული.

ასავალ დასავალი #7, 18-24 თებერვალი, ჯაჭვლიანი: კოჰაბიტაცია სომხური სიტყვაა და ქართულად „შედებას“ ნიშნავს

საპარლამენტო უმარვლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში სიტყვა კოჰაბიტაციის მნიშვნელობას განმარტავს. როგორც ჯაჭვლიანი

ამბობს, კოჰაბიტაცია სომხური სიტყვაა და ქართულად „შედებას“ ნიშნავს. მისივე თქმით, ცემა სვანურად არის ლიყერი.

ჯაჭვლიანი ამბობს, რომ როცა საქართველოში არ გამოდის კოჰაბიტაცია იწყება ლიყერიზმი.

„საერთოდ ქართული პოლიტიკისთვის ლიყერიზმი უცხო არ არის, ხოლო 8 თებერვალს ქართულ პოლიტიკაში საფუძველი დაედო ლიყერიზმის ახალ ეტაპს“,- აცხადებს ჯაჭვლიანი.

აღნიშნულმა პუბლიკაციამ საზოგადოების მღელვარება გამოიწვია, ბევრმა ცნობილმა პიროვნებამ დაგმო საპარლამენტო უმრავლესობის წევრის მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტი. თუმცა, მედიაში გამოჩნდა შეფასებები, სადაც ეს შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული გამონათქვამი უწყინარ ხუმრობად იყო შეფასებული.

სააგენტო news.ge, 21 თებერვალი, 2013 წელი

კობახიძე: სოსომ ალბათ იხუმრა

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე უმრავლესობის წევრის სოსო ჯაჭვლიანის განცხადების შეფასებისას აცხადებს, რომ ჯაჭვლიანი იუმორის ჟანრში საუბრობს.

„მე ვიცი რომ კოჰაბიტაცია არის ფრანგული სიტყვა, ცხოვრებისეული ტერმინია და ნიშნავს ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას არარეგისტრირებულ ქორწინებაში. პოლიტიკურად ეს ნიშნავს ორი განსხვავებული ძალის თანაარსებობას. მე ქართული უფრო მომწონს, თანაარსებობა სჯობია. მე მგონი სოსოს ეს იუმორის ჟანრში აქვს გადატანილი. გამოხატვის თავისუფლება

აქვს მასაც,“ - ამბობს კობახიძე.

ასევე პოლიტიკურ აქტივობასთან, კერძოდ კი 2013 წლის 19 აპრილს დაგეგმილ აქციასთან არის დაკავშირებული პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის დისკრიმინაციული ლექსი, რომელიც ასევე გაზეთ „ასავალ- დასავალში“ გამოქვეყნდა.

ასავალ-დასავალი #15, 2013 წელი, 15-21 აპრილი

სამწუხაროდ,

ვზივარ სიმწუხრეში,

ადრე მუდამ,

საქართველოს ვლოცავდი.

ქართველი ხარ? –

არ მოხვიდე ცხრამეტში!

სომეხი ხარ? –

კი ბატონო, მობრძანდი!

ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური ოპონენტის ან რომელი თანამდებობის პირის შეურაცხყოფის მიზნით, ყურადღებას ამახვილებენ ეთნიკურ კუთვნილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამას არაფერი აქვს საერთოდ მის საქმიანობასთან,

ბატონმა იაკობაშვილმა ასეთი ცინიკური განცხადება გააკეთა: „პუტინს სტალინის ძეგლს ვაჩუქებთ და ხურდაში მემორიალს გავატანთო“. ვინ, ვინ და ებრაელმა კაცმა, ისიც მინისტრმა, იმდენი მაინც ხომ უნდა იცოდე, რომ ფაშიზმის, ამ ყავისფერი ჭირის დამარცხება მხოლოდ სტალინმა შეძლო

და პირველ რიგში, ებრაელები გიხსნათ ფიზიკური განადგურებისგან და შემდეგ – სხვა ერები. სხვა ერებთან შედარებით, პროცენტულად ებრაელებს ყველაზე მეტი ჭკვიანი ჰყავთ. თუ მაინცდამაინც ებრაელი უნდა დაგენიშნა მინისტრად, შე კაი კაცო, ბატონო პრეზიდენტო, ბარემ ჭკვიანი ებრაელი დაგენიშნა, რაღა ამ სულელს ნიშნავდი, ვითომ სულელები ცოტა გვყავს მთავრობაში, ესეც რომ აღარ მიგემატებინა? – ომარ გოცაძე რუბრიკაში „წერილები ქრონიკას“ – „კვირის ქრონიკა“ #20(438), 17-23 მაისი, 2010.

ამონარიდიდან აშკარად ჩანს, რომ მინისტრის განცხადებასთან მის წარმომავლობას არანაირი კავშირი არ აქვს.

ცალკე საკითხად შეგვიძლია გამოვყოთ ოპონენტების კრიტიკისას მათ, ასე ვთქვათ „დამალულ“, ეთნიკურ წარმომავლობაზე საუბარი, რაც ცალსახად მიუღებელია. ერთი მხრივ, ეს უხეში ჩარევაა ადამიანის პირად ცხოვრებაში და მეორე მხრივ, იმ ეთნიკური ჯგუფის შეურაცხყოფა, რომელსაც ვაკუთვნებთ უარყოფით კონტექსტში მოხსენიებულ პირს.

გვარი მართლაც გადაკეთებული მაქვს, ოღონდ აზერბაიჯანული გვარი არა მაქვს - გია ჭანტურია. დალი ბჟალავას ინტერვიუ „საუბრობენ, რომ თბილისის მერობის კანდიდატს, გია ჭანტურიას, გვარი აქვს გადაკეთებული“, „ჯორჯიან თაიმსი“ #11, 25 მარტი - 1 აპრილი, 2010 წელი.

დღეს საქართველოში ფულის მხარჯველიც და ფულის ხარჯვის მაკონტროლებელიც გვარგადაკეთებული სომეხია! `ფულის მხარჯველები ბეჟუაშვილები არიან, რომლებიც გვარგადაკეთებული სომხები არიან და

კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილიც გვარგადაკეთებული სომეხია! სომხეთი იმიტომ არის ძლიერი, რომ ერთ არასომეხს ვერ ნახავ მის ხელისუფლებაში, საქართველოს ხელისუფლებაში კი ვისაც გავლენა აქვს, ან სომეხია, ან ებრაელი! იყავი სომეხი, კი ბატონო, მაგრამ გვარს რატომ იცვლი?... ქვეყანაში ტენდენცია დამკვიდრდა, რომ თუ გვარი გაქვს შეცვლილი, მაშინ წახვალ წინ, იქნები ბიზნესში და გექნება ფული – თემურ შაშიაშვილი. ჯაბა ხუბუას ინტერვიუ „თემურ შაშიაშვილი: ამის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებამ უნდა გააკეთოს დასკვნა, რომ საქართველოს ჰყავს შეშლილი პრეზიდენტი“ – „ასავალ-დასავალი“ #11 (807); 15-21 მარტი, 2010.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონფლიქტების საკითხებზე მუშაობისას სიძულვილის ენის გამოყენება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კონფლიქტის მხარეებს შორის არსებულ დაპირისპირებას. ამ საკითხებზე საუბრისას, ჟურნალისტსა და რესპოდენტს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

დაოსებული, სასომიხდილი და ძლივსმსუნთქავი ალანები მოვიდნენ საქართველოში, ჩავაცვით, ვასვით, ვაჭამეთ, ქართულივასწავლეთ,ზრდილობავასწავლეთ და აი, როგორ გვიხდიან _ ზურაბ რატიანი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი). გულიკო ბალაძის ინტერვიუ „ჩრდილოეთ ოსეთიც საქართველოს ეკუთვნის“ - „ახალი თაობა“ #71 (5147) 26 მარტი, 2010.

ცხადია, შეუძლებელია მოგვეწონოს ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, სპექტაკლი ან ფილმი, მაგრამ სრულიად მიუღებელია, კონკრეტული ნაწარმოების კრიტიკის დროს

შეურაცხყოფა მივაყენოთ სხვა კულტურებს.

„ლიტერატურულ გაზეთში“ ასევე იბეჭდება აკა მორჩილაძის „ქემერა“ და რაღაც ჯანდაბა, თუკი რამე ნაგავი შემოიჭრა ქართულ მეტყველებაში, ქუჩური, ბაზრული, თათრული, სომხური, რუსული, ყველაფერია ჩაყრილი - ელგუჯა ლებანიძე(მწერალი). გელა ზედელაშვილის ინტერვიუ `ახლა მე ვეკითხები ბატონ რეზო ჭეიშვილს...“ „კვირის ქრონიკა“ #12(430), 22-28 მარტი, 2010.

არაკორექტული გამონათქვამები გვხდება ბიზნესის სფეროშიც.

„მოსახლეობის უმრავლესობა ეროვნებით აზერბაიჯანელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოსახლეობას სპეციალურად მათთვის მორგებულ პირობებს შევთავაზებთ - „ბილაინის“ გენერალური დირექტორი ანდრეი პიატიხინი. სტატია „ბილაინის“ აბონენტთა მომსახურების ახალი ცენტრი მარნეულში“- „კვირის პალიტრა“ #11 (815); 15-21 მარტი, 2010.

ლექსიკონი

აგრესია - სხვა ადამიანის ფიზიკურ დაზიანებაზე ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებაზე მიმართული ქცევა.

ავტოქთონი - ადგილობრივი, მკვიდრი. ამა თუ იმ ქვეყნის თავდაპირველი, ძირძველი მოსახლეობა.

აპარტეიდი - საერთაშორისო დანაშაული. აპარტეიდი არ არის მიმართული ეროვნული და ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი ჯგუფების ფიზიკური განადგურებისაკენ, არამედ მიზნად ისახავს ასეთი ჯგუფების და მათი წევრების საზოგადოებრივი ცხოვრებისგან იზოლირებას.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია - არაპირდაპირ დისკრიმინაციას ადგილი აქვ მაშინ, როდესაც ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სამართლებრივი ნორმები, კრიტერიუმები და პრაქტიკა, ერთი შეხედვით, არ არის შემზღუდველი რასის, კანის ფერის, ენი, რელიგიის, მოქალაქეობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არახელ-საყრელ პირობებში აყენებს ზემოხსენებული ნიშნების საფუძველზე გამოყოფილ პირებს ან პირთა ჯგუფებს.

ასიმილაცია - რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურების მოშლა და მისი გათქვეფა სხვა ხალხში. პროცესი, რომლის შედეგად ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრები კარგავენ თავიანთ თავდაპირველ კულტურას და ითვისებენ იმ ეთნიკური ჯგუფის კულტურას, რომელთანაც უშუალი კონტაქტი აქვთ.

გენოციდი - საერთაშორისო დანაშაული,

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. გენოციდი არის ქმედება, რომლის მიზანია, მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი.

დისკრიმინაცია - ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ან შელახვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარ შეხედულებათა, აგრეთვე ქონებრივი, ასაკობრივი ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით. დისკრიმინაცია გვევლინება ინდივიდთა თანასწორობის უარყოფად და შეუთავსებელია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებთან.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, 1995 – ჩარჩო კონვენციის მიზანია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სისტემის ჩამოყალიბება და, ამგვარად, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება რეგიონში. იგი მიღებულ იქნა 1995 წელს და წარმოადგენს ევროპის საბჭოს ნაწილობრივ რეაქციას საბჭოთა კავშირის დანგრევაზე, ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის სახელმწიფოების დემოკრატიზებასა და იმ წარმატებაზე, რომელსაც ამ რეგიონში მიაღწია გაერომ და ეუთომ. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის ანგარიშის წარდგენამდე სახელმწიფოს ეძლევა ერთი წელიწადი. უფლებებში შედის გარანტიები თანასწორობაზე კანონის წინაშე, კულტურის დაცვის, აღმსარებლობის თავისუფლების, უმცირესობათა ენის გამოყენების და მონათესავე უმცირესობათა ჯგუფებთან ურთიერთობის უფლებები. ბევრი თვალსაზრისით აღნიშნული უფლე-

ბები ძალიან ჰგავს სამოცდაათი წლის წინ ერთა ლიგის მიერ მიღებულ გარანტიებს.

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია - გულისხმობს ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობათა აქტიურ და ეფექტურ ჩართვა-მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში. ამ სფეროში პოლიტიკის გატარების პირობაა სოციალური სუბიექტის ფორმირება განვითარებული სამოქალაქო თვითშეგნებით, რომელიც მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა ეფექტურად და თავისუფლად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში, ქვეყნის მართვაში, მატერიალური და კულტურული ფასეულობების შექმნაში.

ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისია - ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის ოფისი დაარსდა 1992 წელს. მისი მიზანია დროულად შეიმუშაოს ეთნიკური დაძაბულობის შეწყვეტის გზები, რათა მათ მომავალში საფრთხე არ შეუქმნან სტაბილურობას და OSCE -ს წევრ ქვეყნებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას.

ეროვნული (ნაციონალური) რელიგიები - მათი აღმსარებელნი ერთი ეროვნების (ნაციის, ეთნოსის) საზღვრებს არ სცილდებიან. დღესდღეობით ასეთებია მაზდეანობა, იუდაიზმი (მეტნაკლებად), ეზიდობა. თავდაპირველად ისლამი ერთი ხალხის, არაბების, წიაღში მათი ინტერესებისთვის ჩაისახა და შემდეგ მოიცვა მსოფლიოს სხვა (ირანული, თურქული, სლავური მოდგმის) ხალხები. ასეთი იყო თავდაპირველად ბუდიზმიც, ინდუიზმიც, რომელთაც მხოლოდ შემდგომ მიიღეს უნივერსალური ხასიათი.

ეთნიკური - ამა თუ იმ ტომთან, ხალხთან დაკავშირებული.

ეთნიკური ანclავები - ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიები სახელმწიფოს ამა თუ იმ ნაწილში.

ეთნიკური დისკრიმინაცია - როცა განსაზღვრული ჯგუფები განიცდიან სოციალურ ექსპლუატაციას ან წარმოადგენენ შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ობიექტს. ამის მაგალითია, ბოშათა ბედი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ანალოგიურ პრობლემას, ხშირად დაკავშირებულს რასისტულ ასპექტებთან, აწყდებიან მკვიდრი მცხოვრებლებიც, რაზეც მოწმობს აბორიგენების მდგომარეობა გვატემალასა და ავსტრალიაში. მსგავს შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება, დამცავი მექანიზმებისა და ხელისუფლების განაწილების სისტემის შექმნა.

ეთნიკური კონფლიქტი - 1)დაპირისპირება სახელმწიფოს ხელისუფლებასა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ ჯგუფებს შორის.

2) ეთნიკური კონფლიქტი წარმოიშობა მეზობლად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომლებიც ტრადიციული შეუწყნარებლობით გამოირჩევიან და დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტვით ცდილობენ პრობლემის გადაწყვეტას, რასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა (მაგ.: აფრიკის ქვეყნებში)

3) ეთნიკური კონფლიქტი წარმოიშობა ორ ან რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს შორის ყოფით ნიადაგზე.

ეთნიკური უმცირესობა - რასობრივი ჯგუფი, რომელიც უმრავლესობის გადმოსახედიდან განიხილება, როგორც განსხვავებული, გამორჩეული, რომელიც უმრავლესობისგან არის გამოყოფილი.

ეთნიკური წარმომავლობა - ადამიანის კუთვნილება ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ეთნიკური ჯგუფისადმი, რომელიც განსხვავდება სხვა ეთნიკური ერთობებისგან და პირველ რიგში, უმრავლესობაში მყოფი მოსახლეობისგან, რომელოიც მართავს სახელმწიფოს.

ეთნიკური წმენდა - ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს, ამა თუ იმ გეოგრაფიული რაიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდის გამოყენებით.

ეთნიკური ჯგუფი - ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მდგრადი სოციალური, საზოგადოებრივი ერთობა, რომელსაც აქვს საერთო ენა, ადათ-ჩვევები, მითები, კულტურა, რწმენა.

ეთნოგრაფია - განსხვავებული კულტურის შესწავლა და აღწერა, რომელიც ძირითადად თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ხდება. ეთნოგრაფიის ძირითადი მიზანია ცხოვრების განსხვავებული წესების გაგება ისე, როგორც ეს წესები ამ კულტურის წარმომადგენლებს ესმით.

ეთნოცენტრიზმი - 1) ნეგატიური დამოკიდებულებაა სხვა კულტურისადმი და საკუთარი უპირატესობის მძაფრ გრძნობას ეფუძნება. ხშირად ის საკუთარი კულტურის

თავზე მოხვევაში და სხვა კულტურის დაკნინებაში ვლინდება.

2)კულტურული რასიზმი. მის წარმომადგენლებს სწამთ, რომ ზოგიერთი კულტურა, ჩვეულებრივ, მათი საკუთარი, ყველაზე უკეთესია ან რომ სხვა კულტურები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ისტორიები ახლოს ვერ მივლენ მათ კულტურასთან.

ემიგრანტი - პირი, რომელიც ტოვებს თავის მოქალაქეობას ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ან ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში.

ეროვნული უმცირესობა - სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისაგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა.

ეროვნული წარმომავლობა - ა) ერისადმი კუთვნილების, წმინდა ეთნიკური მნიშვნე-ლობით.

ბ) - მოქალაქეობის აღმნიშვნელი ტერმინი, რაც განპირობებული იყო ევროპაში ერების ჩამოყალიბებით, ეროვნული სუვერენიტეტის და ე.წ. ერი სახელმწიფოების ჩამოყალიბებით.

იმიგრანტი - უცხოელი, რომელიც შემოდის სახელმწიფოში იქ სამუდამოდ ან დროებითი დასახლებისათვის და უარს ამბობს თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე.

კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1966 წელი - გაეროს კონვენცია ძალაში შევიდა 1969 წელს. კონვენციით უკანონდ

არის გამოცხადებული რასობრივი დისკრიმინაცია, ანუ ყველა ის განსხვავება, გამონაკლისობა, შეზღუდვა ან გამორჩევა, რომლებიც ეყრდნობიან რასობრივ, კანის ფერის, ეროვნულ და ეთნიკურ ნიშნებს და რომლებიც მიზნად ისახავენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერ დარგში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, გამოყენების ან თანაბარ საწყისებზე განხოციელების გაუქმებასა და შეზღუდვას.

კულტურათშორისი დიალოგი - პროცესი, რომელიც მოიცავს ღია და ურთიერთპატივსაცემ გაცვლა-გამოცვლას ან ურთიერთქმედებას სხვადასხვა კულტურული ფონისა და მსოფლმხედველობის მქონე ინდივიდებს, ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებს შორის. მისი მიზანია განავითაროს ამ მიმართულებით არსებული მრავალმხრივი პერსპექტივებისა და პრაქტიკის უფრო ყოვლისმომცველი გაგება.

მრავალფეროვნება - მრავალფეროვნება გულისხმობს ერთ პოპულაციაში უამრავი განსხვავებული კულტურის, აზრის, ეთნიკური ჯგუფის, სოციალურ-ეკონომიკური ფორმის და სხვა სოციალური კონსტრუქტების არსებობას.

მრავალფეროვნების მართვა - ეს არის კონკრეტულ სივრცეში (ოჯახი, ორგანიზაცია, დაწესებულება, სახელმწიფო) ისეთი პოზიტიური გარემოს შექმნის და შენარჩუნების პროცესი, რომელშიც თითოეული ადამიანის განსხვავებული ნიშან-თვისებები აღიარებული, გაგებულ და დაფასებულია, რის შედეგადაც მას

შეუძლია სრულიად გამოავლინოს საკუთარი პიროვნული და პროფესიული პოტენციალი.

მულტიკულტურალიზმი - მულტიკულტურალიზმი შეიძლება განისაზღოს როგორც პოლიტიკა, რომელიც ოფიციალურად აღიარებს და მხარს უჭერს კულტურულ მრავალფეროვნებას, როგორც საზოგადოების განუყოფელ და აუცილებელ კომპონენტს.

მოწყვლადობა - მოწყვლადობა კავშირშია იმ გარემოებებსა და პირობებთან, რომლებსაც განსაზღვრავენ ისეთი ფიზიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორები ან პროცესები,რომლებიც ზრდიან თემის დაუცველობას საფრთხეების ზემოქმედებისაგან. სწორედ დაუცველობა მოსალოდნელი ზიანის შემთხვევაში ან რისკის პირისპირ მყოფი ობიექტების, სისტემებისა თუ თემების შინაგანი სიმყიფე უწყობს ხელს მათ დაზიანებას სახიფათო მოვლენების დროს.

სოციალური მოწყვლადობა წარმოადგენს მოვლენების შესაძლო ზემოქმედებას საზოგადოების შიგნით არსებულ მოწყვლად ჯგუფებზე. სოციალური მოწყვლადობა ითვალისწინებს საზოგადოებრივ ცოდნას რისკის შესახებ, ჯგუფების უნარს, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს კატასტროფით გამოწვეულ პრობლემებს, და იმ ინსტიტუციური სტრუქტურების მდგომარეობას, რომლებსაც ევალებათ ადამიანების დახმარება პრობლემებთან ბრძოლაში.

პირადი დისკრიმინაცია - ნიშნავს განსხვავებულ მოპყრობას, რომლის გამართლებაც შეუძლებელია რაიმე ობიექტური და დასაბუთებული მიზეზით.

რასიზმი - რწმენა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისა, რომ რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა შეიძლება იყოს უპატივცემულობის, ზიზღისა და დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებული ჯგუფის მიმართ და ამართლებს თავისი ჯგუფის პრეტენზიას უპირატესობაზე სხვა დანარჩენ ადამიანებთან ან მათ ჯგუფებთან შედარებით.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია (ECRI) - კომისიის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ევროპის მასშტაბით ბრძოლა რასიზმისა, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ.

სეგრეგაცია - გარკვეული ეტნიკური ან რასობრივი ჯგუფის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, დამაბრკოლებელი სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეზღუდვების შეფარდება ამ ჯგუფისათვის, მათი წევრებისათვის.

სეპარატიზმი - სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის მცდელობა - მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ პოლიტიკურ- ეკონომიკურ ავტონომიას, ფედერაციაშო ცალკე სუბიექტის სტატისს, ან საერთოს გამოეყოს.

სიძულვილის ენა (Hate speach) - ნებისმიერი განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს დათესოს სიძულვილი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ და ეფუძნება ამ ადამიანების გარკვეულ დამახასიათებელ ნიშნებს - რასას, კანის ფერს, რელიგიას, მოქალაქეობას, ეროვნულ თუ ეთნიკურ წარმომავლობას.

სტერეოტიპი - ადამიანების ან იდეების ძალზე გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია.

ტოლერანტობა (შემწყნარებლობა) - ,,ტოლერანტობის პრიციპების დეკლარაციის" თანახმად (ხელმოწერილია 1995 წლის 16 ნოემბერს პარიზში იუნესკოს წევრი 185 სახელმწიფოს მიერ), ტოლერანტობა ,,მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალ-ფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა - სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება."

ფაშიზმი - პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიცმიისწრაფვისტოტალიტარიზმისკენ. მისთვის დამახასიათებელია ყოველგვარი დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვა, საკუთარი ერის განდიდება და მისი კულტურული უნიკალობის დამტკიცება.

ქსენოფობია - შეუწყნარებლობა უცხოელების მიმართ, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში. ეფუძნება რწმენას, რომ უცხოელები ზიანს აყენებენ ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ გარემოს, აუარესებენ მკვიდრი მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ

მდგომარეობას.

ცრურწმენა - საფუძველს მოკლებული, მიკერძოებეული უარყოფითი შეხედულებები და შეფასებები გარკვეული ჯგუფის წინააღმდეგ.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა - შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციისა და "შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს განკარგულების საფუძველზე. მისი ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შეუწყნარებლობა - პიროვნებასა და პიროვნებათა ჯგუფის, სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზაციების მხრიდან სხვა ადამიანთა ან მათი ჯგუფების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, დაფუძნებული ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მათი რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, მოქალაქეობა, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა.

შოვინიზმი - ეთნიკური ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა. იგი ქადაგებს საკუთარი ერის გამორჩეულობას, ეროვნულ მტრობასა და სხვა ერების სიძულვილს.

კონტაქტები

ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების გაშუქებისას მნიშვნელოვანია იცოდეთ ვის მიმართოთ, რათა მოვიპოვოთ უტყუარი და კომპეტენტური ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო თემაზე.

ამიტომ გთავაზობთ იმ ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაციას, რომლებთანაც თანამშრომლობს ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი. აღნიშნული ორგანიზაციები მზადყოფნას გამოთქვამენ აქტიურად ითანამშრომლონ მედიასთან, რათა ჩვენს მედია სივრცეში გაიზარდოს კვალიფიციური და კომპეტენტური მასალები ეთნიკურ უმცირესობათა და მრავალფეროვნების შესახებ.

სახელი და გვარი	ორგანიზაციის სახელწოდება	საკონტაქტო ინფორმაცია
ავარელთა თემი		
ალი ალიევი	ავარელთა კავშირი “ავანი”	577 95 07 86; 599 35 39 25
აზერბაიჯანელთა თემი		
ლეილა მამედოვა	საქართველოს აზერბაიჯანელთა ახალგაზრდობის კავშირი (მარნეული)	593 17 18 55
ფარხად მუსაევი	საქართველო ჩემი სამშობლოა	599 96 26 11
ლეილა სულეიმანოვა	საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა ასოციაცია	593 20 50 65
ასურელთა თემი		
დავით ადამოვი	საქართველოს ასურელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესი	2 94 17 73; 595 27 00 36
ეკა ბითქაში	ახალგაზრდული ორგანიზაცია «ნინევია» საქართველოში	558 92 43 88

ბელორუსთა თემი		
ალექსეი ბახოლდინი	საქართველოს საერთაშორისო ბელორუს თანამემამულეთა კავშირი “სეიბრი”	574 73 03 30
ბერძნების თემი		
კონსტანტინ პოზოვი	საქართველოს ახალგაზრდა ბერძენთა კავშირი	599 43 18 78; 577 10 14 41
პოთი ჩითლიდისი	საქართველოს ბერძნულ სათვისტომოთა კავშირი	599 51 92 54
ბოშათა თემი		
ვენერა მართყოფლიშვილი	კახეთის ბოშათა გაერთიანება “რომა”	555 39 28 06; 590 54 23 60
ელენე პროშიკიანი	რომა-ჯგუფი საქართველო	557 65 66 00
ბულგარელთა თემი		
რაინა ახალკაციშვილი-ბელევა	ბულგარელთა გაერთიანება საქართველოში «ვზრაჯდანე»	2 98 66 01; 595 27 83 47

გერმანელთა თემი		
გარი აუგსტი	საქართველოს გერმანელთა ასოციაცია «აინუნგი»	599 13 84 22; 2 30 97 38
ებრაელთა თემი		
მარინა სოლომონიშვილი	ებრაელ ქალთა საბჭო	2 99 08 27; 593 50 07 75
ლენა ბერკოვიჩი	ებრაული კულტურული და საგანმანათლებლო ფონდი	577 44 99 50; 2 77 06 53
ეზიდების თემი		
აგიტ მირზოევი	სათემო ცენტრი «ეზიდთა სახლი»	599 55 18 97; 2 61 86 90
ლილი საფაროვა	ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა	593 68 68 05; 2 61 86 90
ესტონელთა თემი		
რეგინა კახიძე	საქართველოს ესტონელები	2 99 61 46

თათართა თემი		
კიმალდინ თაიროვი	თათართა თემი საქართველოში	2 74 67 58; 593 69 34 42
ლატვიელთა თემი		
რეგინა იაკობიძე	ლატვიელთა სათვისტომო საქართველოში “ავე-სოლ”	599 51 99 45
ლიტველთა თემი		
ზინაიდა ქარუხნიშვილი	ლიტველთა საზოგადოება “რუტა-გეო”	2 22 08 47; 599 46 87 79
ოსური თემი		
თენგიზ გაგლოევი	საქართველოს ოსთა ასოციაცია	593 93 37 73; 2 98 36 79
ნაირა ბეპიევა	“კავკასიური მოზაიკა”	577 77 79 52
პოლონელთა თემი		
ვალენტინა ბაზილაკი	კავშირი «მრავალეთნიკური ფორუმი»	593 64 44 43

ნუკრი გაბულია-როზვადოვსკა	დედოფალი ედვიგას სახელობის პოლონური საგანმანათლებლო ცენტრი	577 40 11 30
რუსული თემი		
ალა ბეჟენცევა	საქართველოს რუს ქალთა ასოციაცია «იაროსლავნა»	2 71 35 68; 593 30 44 34
ნინო ციტლანაძე	საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი «რუსული კლუბი»	593 75 03 49
სომეხთა თემი		
გენრიხ მურადიანი	საქართველოს სომეხთა კავშირი	593 34 18 70; 577 75 83 83
სლავა მეჟდოიანი	ევროპულ-სომხური ფედერაცია სამართლიანობისა და დემოკრატიისათვის	598 25 30 50
მიხეილ ავაქიანი	ასოციაცია “შენ”	577 43 79 12; 2 75 64 28

უდეების თემი		
მამული მეშუმაშვილი	“უდი”	599 24 33 30; 577 64 49 44
უკრაინელთა თემი		
ელენა კურტანიძე	საქართველოს უკრაინელ პედაგოგთა კავშირი «განმანათლებლები»	593 22 96 04
ვალენტინა მარჯანიშვილი	ჟურნალისტთა კავშირი «ქართულ-უკრაინული პრესის და წიგნის სახლი»	593 17 38 81
ვლადიმირ დიაჩენკო	საქართველოს უკრაინელთა ასოციაცია «რუშნიკი»	558 11 00 73; 2 78 19 07
ჩეჩენთა თემი		
ზიაუდინ იდიგოვი	ლტოლვილთა საქმეების საკორდინაციო საბჭო	557 73 75 07
ჩეხები		
გაროლდ შმალცელი	საქართველოში ჩეხთა სათვისტომო «ზლატა პრაღა»	2 96 81 24

ინტერეთნიკური ორგანიზაციები		
თამარ ბექაური	კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი (ძირითადი მიზნობრივი ჯგუფი:ქისტები და ჩეჩნები)	590 96 71 79; 599 96 71 79
ალექსანდრე ბეჟენცევი	საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაცია	593 20 06 79
ექსპერტული ორგანიზაციები რომლებიც მუშაობენ ეთნიკურ უმცირესობების საკითხებზე		
რამაზ აფციაური	საქართველოს გაეროს ასოციაცია	2 33 25 16; 2 33 52 16
ზვიად დევდარიანი	სამოქალაქო განვითარების სააგენტო (ქვემო ქართლი)	577 46 03 35
გიორგი ანდღულაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (სამცხე ჯავახეთი)	599 54 02 91
არნოლდ სტეფანიანი	საერთო სამოქალაქო მოძრაობა “მრავალეროვანი საქართველო”	571 95 95 65; 595 95 95 65
ზაურ ხალილოვი	სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი	577 45 43 78
აგიტ მირზოევი	ეთნოსთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი	599 55 18 97